ეშმაკის ალაგი

იუმორისტული ჟურნალი № 10

6 მარტი, 1911 წ. ფასი 10 კაპ.

უოველ კვირეული გამოცემა

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გამოჩნდება.“



„ურემი რომ წაიქცევა,
გზა მასუკან გამოჩნდება“!

აი, ნახეთ მთელი „თემი“
თითის ფრჩხილებზედა დგება...

საკახეთო რკინის გზასა
მათ უკვე აუგეს წესი:

„საქმე ჩვენ რომ გაგვეჩარხა
ის იყოო უკეთესი.“
  არ აკლებენ არც ისინი,
ვინაც საქმე მოაგვარა...
და უნდა ვსთქვათ, ოფლზე მეტი
მუნ მელანი დაიღვარა.
  „სახალხნო, გაზეთი“ ამბობს:
„ხალხო, ლანძღვა-თრევა კმარა,
ახლა ვის რად წაადგება
თუნდ გამოჩნდეს მატყუარა?“
  (წელს დოინჯი შემოიდგა
  სიბრძნე ესე სთქვა თუარა!)

სენსაციური

დეპეშები.

დარკვეთი. ადგილობრივი ქარხნის გამგე გრიგოლი, გუშინ გულ შეწუხებული იპოვეს. საქმე იმაშია, რომ ახლო მახლო სოფლებში გლეხებს გაფიცვა გამოუცხადებიათ და ძღვენი აღარ მოაქვთ. გრიგოლი კი ისე მიჩვეული იყო დოქებით ღვინოებსა და ნასუქ დედლებზე. ძნელი სათქმელია გაფიცვა რამდენ ხანს გასტანს.

იქიდანვე ადგილობრივი ქარხნის გამგე, გრიგოლი, გუშინწინ გულ შეწუხებული იპოვეს. მიზეზათ ასახელებენ ზედმეტ გაძღომას, რადგან სოფლელებიდან ათი თორმეტი მსუქანი ძღვენი *)მოსვლია. რამდენჯერ გამოუცხადებია სამუშაოს მთხოვნელთათვის: „დაკლული ქათმები ნუ მოგაქვთ, რადგან დიდხანს არ ინახება და ერთად მონელება ძნელიაო“. მაგრამ ადგილობრივ გლეხ-კაცობას განა შეასმენთ რასმე?

სამტრედია. სამიკიტნოებში აღმოაჩინეს ადგილობრივი დეპოს მუშათა „საიდუმლო“ ორგანიზაცია. ორგანიზაციას მიზნათ ჰქონია მაგარ სასმელებთან ბრძოლა, და თუ დასცლოდა მოქმედება, მალე სრულიად მოსპობდა ამ საფრთხეს ადამიანთა ჯანმრთელობისას.

---

*) ახირებულია ამ სააგენტოების საქმე! რომელს დაუჯეროს კაცმა აღარ იცი.

ეშმაკი.

„*
„*

ცეცხლი ჩანელდა. არ მღერის ქურა.
მაჯა დაეშვა. გაცივდა გრდემლი.
მზემ პირზე რიდე წამოიხურა,
ცივათ ღვრება ოფლი და ცრემლი.
ახლო სატანა დაიგრაგნება,
მიწას ბნელსა ჰფენს მისი აჩრდილი,
ნეტა ვის ძალუძს აქ გზის გაგება,
ვისთვის ძნელია, ვისთვის ადვილი?
ერთურთს ებრძვიან: აზრი და ვნება,
ერთიც, მეორეც სასო წარხდილი.
აქ ღამე—ბნელია... იქ დღე ანთია,
შუა სდგას მძიმე შავი კედელი,
ბედი, ნახშირის გორაზე გდია,
ნეტავ სად არის მისი მჭედელი?!!

ვ. ტუქსიშვილი.

მცნება სახარებისა.

(იგავისებური)

ერთხელ, ტყეში, დათვსა და მგელს
მოუვიდათ ომი, ცხელი.
(ვინ არ იცის, რომ ღონეში
ჩამორჩება დათვსა მგელი?!)
  ბანჯგვლიანმაც მგელი იგი,
გძლავრ ტორებში დიდხანს ზილა;
სული აღარ ამოხადა,
თორემ ძვალი დაურბილდა.
  იმ ტყის ახლოს, ძველის-ძველი
იდგა მამათ მონასტერი,
საიდანაც შეშისათვის
წასულიყო ტყეში ბერი.
  ნახა ბერელი სულთ-მობრძავი ..
შეეცოდა, აიყვანა,
ზურგს მოიდო და, ვით განძი,
მონასტერში მიიტანა.
  სხვა ბერებმა კი, ამ მორჩილს
უთხრეს სიტვა, გულსაკლავი:
„ბრიყვო, ლეში რომ მოზიდე,
ვერ გახადე იქვე ტყავი?!“
  მაგრამ, მყისვე, ეს ამბავი
მოხვდა წინამძღვარის ყურებს...
ვინ არ იცის წინამძღვარი.!!
ის ღმერთს სხვაზე მეტს მსახურებს.
  სხვაზე უფრო მასში არის
დაჩაგრულთა სიბრალული,

ლაპარაკშიც, მუდამ პირზე
აკერია სიყვარული.

ან კი როგორ დაავიწყდეს
სიყვარულის წმინდა მცნება,
ვისიც ხელში დღე მუდამ ჟამს
ჯვარია და სახარება!

წინამძღვარსაც შეებრალა
იგი მგელი, საცოდავი,
მყისვე ბერებს აუკრძალა
გაეხადათ მისთვის ტყავი.

თვისი ხელით დააპურა,
მისთვის ბინაც გამონახა
და სამადლო საქმის შემდეგ
მან პირჯვარი გადისახა.

შემდგომ, ნიშნათ სიამისა,
გრძელ წვერს ჩამოისვა ხელი...
მართლაც, მისი მოვლა-შრომით,
გამოკოხლდა იგი მგელი.

შეეჩვია ის წინამძღვარს:
ცუდს არაფერს არ ჰკადრებდა,
რადგან მამა იოანე
მას მუდამ დღე გააძღებდა.

მონასტრისა ახლოს იყო
საბალახო ველ მინდორი,
სადაც მწვანე მდელოს სძოვდა
წინამძღვარის თეთრი ჯორი.

და მგელს მუდამ თვალწინ ედგა
სანატრელი ეს საგანი,
თეთრი ჯორი იმას თვალში
ესობოდა, ვით ლურსმანი.

ერთ დღეს, როცა წინამძღვარმა
წამოიწყო ლოცვა გრძელი,
კვლავ ძალ ღონე მონაკრები
თეთრ ჯორს დაეტაკა მგელი.

გამოჰგუდა, გაატყავა,
სძიძგნა დიდხანს, აქლიფარჩა,
გაძღა და ტყის გზას დაადგა...
ჯორის ძვლები იქვე დარჩა.

მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა
იოანე წინამძღვარი,
რომ „მგელის თავზე სახარების
კითხვა“ დიდი ცოდვა არი!..

ოზნისიმე.

ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია!

(გასართობი)

ერთს, გარუსებულ, ქართველ მოხელეს *) პატრიოტული გრძნობა გაეღვიძა და თუმცა ხან გადასული, გულმოდგინეთ შეუდგა სამშობლო ენის შესწავლას. „დედა-ენის“ პირველ ნაწილში თითქმის ყველა შინაურ ცხოველებს შეეწყო და შეეგუა იმისი გადაგვარებული გამოთქმა, მაგრამ წყეულმა „**ქათამმა**“ სრულიად გაუტეხა გული, როგორც მოსწავლეს, აგრეთვე მასწავლებელს.

— აბა წაიკითხეთ ეგ სიტყვა, თქვენო მაღალ-კეთილ-შობილებავ! ეუბნებოდა მასწავლებელი და ანიშნებდა „ქათამზე“...

— ქ...რ...თ...ა.. მ...ი...

— ეჰ, როგორ არ გესმით, თქვენ ერთ ასოს იპარავთ, ერთ ხმოვან ასოს და ერთ უხმოს-კი უმატებთ. ნელა, დინჯათ და მკაფიოთ გამოთქვით თითოეული მარცვალი. ქართულ ენას მკაფიო გამოთქმა უყვარს. აბა?

-- ქა...თა...მი... დიდის გაჭირვებით ამოიკითხა მოხელემ.

— რა გამოვიდა?

— ქრთამი.

— აბა რას ამბობთ, როგორ შეიძლება. კიდევ წაიკითხეთ!

— ქათა...მი... ქარ...თა...მი...

— ერთად?

— ქრთამი. ქრთამი. .

— ყური დამიგდეთ. გაიმეორეთ ჩემთან ერთად: ქა...თა...მი... ქა . თა . მი...

— ქრთა...მი... ქრთამი... ქრთამი...

—

ასე ძნელია გარუსებული ქართველი მოხელისათვის სამშობლო ენის შესწავლა!

—ძი.

*) მოხელე ქართულათ „ჩინოვნიკს“ ნიშნავს.
ეშმაკი.

პოეტს.

—

თაღათ შეკრულ ცასა შევსცქერ,
ვარსკლავებით მკერდ მოქარგულს,
დღისით მზეს და ღამით მთვარეს
ფიანდაზათ რომ უშლის გულს.
ხან გარს იხვევს ლეგა ღრუბლებს,
ხან მრისხანებს, სჭექს და ბრგვინავს,
ხან ქვითინებს, ცრემლებსა ღვრის,
ხან პირს იწმენდს, კაშკაშ-ბრწყინავს,—
და, პოეტო, შენ გიგონებ...
შენც ხომ ზეცას ედარები:
ხან ტალკვესობ, ჩინჩხლებსა ჰყრი,
ხან ფიქრებით იბურები;
ხან ეძლევი ნეტარებას,
ხან მწარეთ კვნეს, მწარეთ გმინავ,
ხან მძლავრათ შლი ოცნების ფრთებს
და შორს მიჰქრი, შორს მიფრინავ;
ხან იმედით ივსებ გულსა,
სავაჟკაცოდ იწვევ ყველას
და მომავალ გამარჯვების
ნიშნათ სახავ ცისარტყელას!

ვ. რუხაძე.

დომენტი გულდედავას ხსოვნას.

ბედმა მარგუნა, მრავალგზის დაობლებულ-წამებულს, კვლავ ცრემლები ვღვარო და იუმორისტულ წერილებს, ჩემი, მწარე კვნესითა და მწუხარებით სავსე წერილი ამოვუყენო გვერდით და მით (თუმცა უნაყოფოდ) მოვიფხანო ტანჯული გული.

ჩაგრულთათვის თავ-დადებულთა ჯგუფს ერთი პატიოსანი, ახალგაზრდა, ჯანღონითა და იმედებით სავსე წევრი კვლავ გამოაკლდა.

ქ. ვიატკიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქ, სამუდამოთ დახუჭა, ცეცხლის მფრქვეველი თვალები სრულიად ახალგაზრდა დომენტი ოქროს-ძე გულდედავამ. ასეთი გულწრფელი და დაუღალავ ენერგიით სავსე, გამოცდილი ამხანაგის დაკარგვა ყოველთვის დიდათ სამწუხაროა და სამძიმოა, მაგრამ კიდევ უფრო გაორკეცებულ მწუხარებას წარმოადგენს ეს დღეს.

დომენტი გულდედავა დაიბადა 1884 წ. სოფ ჭაგანში (ქუთ. მაზრა.) აქვე დაამთავრა მან ორკლასიანი სასწავლებელი, რის შემდეგაც, 1899 წელს, შეგირდათ შევიდა, თფილისის რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოს, „სბორნი“ ცეხში, ზეინკლის ნაწილზე. ამ წლის მეორე ნახევრიდანვე, 16 წლისამ, დაიწყო თფილისის მუშებში მოღვაწეობა, რომელსაც, მიუხედავათ მისი მცირე ხნოვანობისა, თავიდანვე გულწრფელათ და გასაკვირალი ენერგიით ემსახურებოდა.

1908 წ., 8 დეკემბერს ის დააპატიმრეს თფილისში, ხოლო 1909 წლის, 6 მაის გადასახლებული იქმნა ვიატკის გუბერნიაში. 7 დღის შემდეგ განთავისუფლებული, ის იქ ისევ დაპატიმრეს და ვიატკის ციხეში დაჰყო საქმის გაურჩევლად 1910 წლის ბოლო რიცხვებამდე. ამა წლის იანვარში, კი იქვე, დალია ტანჯული სული სრულებით ჯანსაღმა და იმედებით სავსე, ვაჟკაცმა.

დაუვიწყარი იქნება დომენტი სხსოვნა ჩვენს,— მისი ამხანაგების გულში, სანამ უკანასკნელი არ შესწყვეტს ძგერას...

სეველი,

დარაჯი და „უჩიტელი“

(ზიბ ძვ.)

თორმეტი წლის „უჩიტელი“,—
ნამსახური ამოდენა,
სიმშილმა რომ შეაწუხა
და სოფლიდან გადმოდენა,
ერთ ქალაქში, გამწარებით
ჩაღროკინდა საცოდავი,
რომ შეერგო მასწავლებლათ
რამე რიგათ სადმე თავი...
„უპრავისა“ კარს მიადგა;—
იქ დარაჯი დახვდა კარზე,
(ჩასჭდობოდა ხელით მაგრათ,
იგი კლიტის გასაყარზე.)
უთხრა დარაჯს: „თუ ძმობა გწამს,
ამ კითხვაზე არ დამძრახო,

ვინ არიგებს აქ ადგილებს?
მიმასწავლე, მიდა ვნახო!
— აგერ შედი მელაძესთან,
ვგონებ ის არ გაგაწბილებს,
ადგილს თუ არ მოგცემს, ენით,
მაინც ჩაგიშაქარტკბილებს!
— მელაძესთან რომ შევიდე,
ხომ წამიხდა თადარიგი?
„მათრახში“ რომ ვწერდი მასზე,
ადგილს მომცემს ახლა იგი?!
— ხონელიძეს შეეხვეწე,
მოდი ერთი, სცადე ბედი!
— ისიც არ მყავს მადლიერი ..
მე „მათრახში“ მასზეც ვწერდი!
— ფშუჭაძესაც შეუძლია,
ისიც ნახე, აბა ერთი!
— ადგილისთვის მივალ მასთან
ისე გამიწყრება ღმერთი!?
მე „მათრახში“ იმაზეც მაქვს
დანაწერი რამე-რუმე
და რომ სადმე კვანტი გამკრას
სანთლით ეძებს ამას, თურმე!
— სთხოვე „შავ-შავ“ მასწავლებლებს,
შეიძლება მოგცენ ხმები!
— ისინიც მყავს მე ათასჯერ,
ვაჰ მე, „განამათრახები“!
— სჩან წამხდარა შენი საქმე,
რაღა ბევრი მოგატყვილო!....
მაშ მოსძებნე ვინმე აქ, რომ
ედისწულო, ან ეშვილო!
და ეგ ხერხი ვიცი გასჭრის,
დაცდილი მაქვს ძველის ძველად,
ანბანიც რომ არ იცოდე,
მიგიღებენ უეჭველად!!!
— ვინ მოვძებნო, და ან ვისი
ძალმიძს გავხდე მე დისწული !!
— მე რა ვიცი, უამისოდ
ამოგვძრება პირში სული!

ა. ბლიკვაძე.

ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო

დეპეშები

სამეგრელო. გამოწერილია სტამბოლიდან 50 მენავე და ამდენივე ნავი, კოტე მესხის საიუბილეო პროცესიის სოფლიდან სოფლათ გაანდასაყვანათ. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა აქვს. მოელიან, რომ კოტე მესხი მათ ბატონ-ყმობიდან გათავისუფლებს.*)

ჩოხატოური. საჯავახოდან მომავალ გზებზე ხიდეებს სინჯავენ, ფერდოებს ამაგრებენ, რომ უზრუნველ ჰყონ კოტე მესხის საიუბილეო რაზმი მეწყერისა და ზვავების მავნებლობისაგან. გურულებს ჰგონიათ ეს საიუბილეო რაზმი ყარსის ასაღებათ მოდისო. რაზმი მართლა ყარს... **)

სვანეთი. ხალხი უკვე შეუდგა ვიწრო ბილიკებზე თოვლის ტკეპნას კოტე მესხის საიუბილეო მხედრობისათვის. სვანები დარწმუნებულნი არიან რომ კოტე მესხი მათ მიწებს დაურიგებს.

სოფ. ღვანკითი. ცნობილი პოეტი ღვანკითელი უკვე გავიდა ტყეთ საგვირგვინე მწვანე ტოტების გადმოსატანათ კოტე მესხის საიუბილეო ქარავანის მისართმევათ. ამბობენ, მას მისალოცი ლექსიც მზადა აქვსო.

ხმა სამარიდან.

მე ჩემი დღე ტანჯვაში გავატარე,
არ მინახავს ერთი წამით სიამე,
ბევრი ოფლი, ბევრი ცრემლი დავღვარე...
აწ რათ მინდა, რომ დამირგეთ ია მე?!

—

სიცოცხლეში, როს სულს მხდიდა შიმშილი,
ლუკმა პურიც არვინ შემაძლია მე,
ახლა, როცა ჩამეკონა სიკვდილი,
რაღათ მინდა, რომ დამირგეთ ია მე?!

ვ. რუხვაძე.

---

*) როგორ დავიჯეროთ ხალხმა არ იცოდე რომ ბატონ-ყმობა უკვე მოსპობილია!.

ეშმაკი.

**) აქ დეპეშა უხეირო ალაგას არის შეწყვეტილი.

მოხსენება კვიწარისა.

თქვენო მაღალ-უეშმაკეულესობავ!

უკვე მოგახსენეთ, რომ ამ ჩემს სამწუსოში მეტად სასიხარულო, საეშმაკო ამბები ხდება-მეთქი. ქვემორე მოხსენებული უტიდობელ ჭეოფს ამ ურეეველ ჭეშმარიტებას.

არსებობს ამ ფეხ და წელ მოტეხილ ქალაქში ქალაქის პირველ-დაწეებითი სკოლები. ჭო და რაკი სკოლებია, ამ სკოლებს მასწავლებლებიც უავს, ხალხი მეტად ჭრელი და წეალ-წასადები. მას ყამსა შინა, ვისაც ჯერ არს, გალაუწეეტია: იმ პირველ-დაწეებით სკოლებში, რომლებშიაც „ტუზემცები“ სწავლობენ, შემოიდონ მეოთხე წლის კურსი, ე. ი. მეოთხე განეოფილება. დადგენილება სქმეთ ქცეულა. კარგი და პატიოსანი! რაც კარგია, კარგია! ამის წინააღმდეგი ეშმაკებიც არ ვიქნებით.

მარა ამ მეოთხე განეოფილების დაარსებას პატივცემულ მასწავლებელთა კორპორაციაში მოუხდენია შერეეულ აზრთა კიდევ უფრო მეტად დიდი რეევა. ამა წლის თებერვლისა ოთხსა, კორპორაცია ესე შეკრებილა და, მრავალ ძვირფას აზრთა ხეოქების შემდეგ, დაუდგენია: ნაციონალურ სკოლათა მეოთხე განეოფილებანი შეერთებულ იქნან ერთ განეოფილებათ და დაენიშნოს ასეთ განეოფილებას ერთი მასწავლებელი. მაშასადამე ამ ხელის-ხელ საგოგმანებელ დადგენილებით უნდა მოუყარონ ერთად თავი ქართველ, ბერძენ და სომეხ ბავშვებს და უნდა ასწავლოს მათ ერთმა მასწავლებელმა! შეერთების წინააღმდეგი აბა ვინ უნდა იყოს, მარა მაგარი ის არის, რომ ამ ბატონ პედაგოგთა დადგენილება მუშტებსა სცემს ელემენტარულ სად პედაგოგიურ მოსაზრებას. უკვე ცნობილია ყველასათვის, გარდა ქალაქ ბათუმის პირველ-დაწეებით სკოლების მასწავლებლებისა, რომსაგნების სწავლება, განსაკუთრებით პირველ-დაწეებით სკოლებში, უნდა სწარმოებდეს მშობლიურ ენის შემწეობით. ახლა ერთი მიბრძანეთ: სად უნდა გამოინახოს ისეთი მასწავლებელი, რომელმაც ქართულიც უნდა იცოდეს, ბერძნულიც და სომხურიც! ცხადია არსად. და ამას არც გულისხმობს წეალ-წასადებ პედაგოგთა დადგენილება: პედაგოგნი ესენი იმ აზრს ადგანან, რომ ქართველ-სომეხ-ბერძენ ბავშვებს აუხსნან ყველა საგნები ერთადერთი ენის შემწეობით, ე. ი. რუსული ენით. რა ეწოდება ამას? ამას ეწოდება მუნჯური მეთოდის შემოდება. ამ მეთოდს იცავს ბათუმელ „პედაგოგთა“ დადგენილება.

ამ დადგენილების წინააღმდეგ წასულა მხოლოდ ერთად-ერთი მასწავლებელი, კაცი ჭადარა-წვეროსანი, რომლის პროტესტს სიტელ-სარხარით შეხვედრიან დანარჩენნი „პედაგოგნი“.

როგორც ხედავს თქვენი მაღალ-უეშმაკეულესობა, დადგენილება „პედაგოგთა“ ფრიად გასახარელ არს ეოველთა ეშმაკეულ სულთათვის. და რაკი ასეთი დეაწლი მიუძღვით ამ ვაუბატონ-ქალბატონებს წინაშე, ჯოჯოხეთისა, ამიტომ ურიგო არ იქნება შეტანილ იქნას საჯოჯოხეთო ისტ. სიაში სახელი ამ პატივცემულ გვამთა, რათა მეორედ მოსვლის ყამს დირსეულათ დაფასებულ იქნას ბელზებელის მიერ ნაშრომი ამ საეშმაკო არსებათა.

კორპორაცია ესე „პედაგოგიური“, გამომტანელი ზემოთ მოხსენებულ მაღალ პედაგოგიურ დადგენილებისა, შესდგება შემდეგ ვაუთაგან:

ღლონტი ირაკლი. კაცი ფრიად საჯოჯოხეთო, გულმოდგინეთ დამტვალი მოხსენებულ „სადი პედაგოგიურ“ მოსაზრებისა. დაიბადა სოფელ დუაბზუს, სადაც, სამასწავლებლო სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ, დანიშნულ იქმნა მასწავლებლად. საზოგადო მოდვაწეობა დაიწყო სოფელ დვაბზუს. ისტორია გადმოგვცემს, რომ ამ ვაუის საზოგადო მოდვაწეობა გამოისახება აგრეთვე საოლქო ინსპექტორის სლავიანსკის უზომო სიეეარულში. თქვენ ფიქრობთ, რომ აქ ისტორია ცდება?!. სრულიად არა! რაცა უდიდესი მოდვაწე გიეეართ და უდიდესად პატივს სცემთ მას, მით თქვენც საზოგადო მოდვაწე ხართ, მაშ რა ჯანდაბა ხართ! ბოროტი ენები ამბობენ, რომ სიეეარულმან აბა ინსპექტორისამან აშოვნინა ქალაქ ბათუმში ბატონს ირაკლის მასწავლებლობა... მარა ბოროტ ენებს ხომ არაფერი დაეჯერება. როცა ფილიპე მგელაძეს ექსორია ეეო ბათუმიდან, ირაკლის გზა გაეხსნა მეორე საფეხურზე მშვიდათ შეტოტებისა და დღეს ირაკლის საადრბაზო ბარათზე ამოიკითხავთ: „გამგე პუშკინის სასწავლებლისა“.

აქ, ურიგო არ იქნება, აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ირაკლი ქალაქის სკოლების ეველა მასწავლებლებში დიდ ავტორიტეტად ითვლება და მის გარდაეაალს იშვიათად თუ ვინმე გაბედავს.

ზაზაროვი გიორგი, კაცი არც მეწადი, არც ღვინო, არც ლობიო და არც ფხიალი. ხშირად გვინახავს გვაში ესე ბათუმის ქუჩებზე ჯიბეებში ხელებ-ჩაწეობილი დაფიქრებულად მოარული. თუ რა შეადგენს გიორგის ესოდენ ჩაფიქრების მიზეზს, ეს ჯერ ვერავის გამოუკვლევია. გიორგი ისტორიაშიაც უკვე არის შეტანილი: ერთ სამოწმო საქმეზე გიორგის უეცრად გადაავიწედა ის, რაც წინ დღით მეზვენიერად ახსოვდა. ისტორია ამბობს, რომ აქ გიორგი არაფერ შეაშიო, შეაში სხვები არიან, რომლებმაც მის მეხსიერებას ფრთები შეუკვე-

ტესო. მეორე ასეთსავე სამოწმო საქმეზე გიორგის ასეთი რამ შეემთხვა: გიორგის კითხეს: ბა, ბ-ნო გიორგი! რა იცით ამ საქმეზეო?

— Воздерживаюсь-о, დადგენილ გიორგიმ.

მოწამემ რაც იცის, ის უნდა თქვასო, — უთხრეს გიორგის. —

— Воздерживаюсь-о, განმეორა გიორგიმ.

— ამის შემდეგ ისტორიაში გიორგის „Воздерживаюсь“ უწოდებენ. ამის მეტს არას ამბობს გიორგიზე ისტორია, გარდა იმისა, რომ გიორგი ირაკლის უფროს სიტყვაზე ტაშის დამკვრელია.

ბ-ნი ლაზარიდი. ირაკლის შემდეგ „სად ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ“ დადგენილების უბრო დამტკველია. მეტი ცნობები მისი ბიოგრაფიის შესახებ არა გვაქვს, თუმცა ესეც უნდა კმარდეს.

ბ-ნი გომანი. ასწავლის ᲔᲠᲗᲘᲡ დაწყებით სკოლებში წიგნების დაკაზმვას. არ მიუღია ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ განათლება, მარა სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ განვითარებით და გამოცდილებით მაღალ დგას ყველა წუალ-წასაღებ მასწავლებლებზე. მით უფრო განსაკვირია მისგან, თუ რათ მიეცხრო საჯოჯოხეთო დადგენილებას „ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲔᲑᲘᲡᲐᲡ“ აქვს საქალაქო სკოლებში 10 — 12 გაკვეთილი კვირაში, რისთვისაც იღებს 800 ქანქარს.

ბ-ნი პალიევი (ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲐᲓ ᲑᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘ). საისტორიო კრებას 4 თებერვალს არ დასწრებია, ბ-ნმა ლაზარიდიმ განაცხადა, რომ ᲑᲐᲚᲘᲔᲕᲘ თანახმაა „სად ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ“ ზომის გატარებისაო.

„სად ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ“ დადგენილებას ხმა მისცეს ყველა მადლრობითი სქესის მასწავლებლებმა.

ესე ასულნი ბრძანდებიან:

დარია კეკელაძის ასული. მეტად წენარი და კრებებზე იშვიათად ხმის ამომღები. ისტორიაში ცნობილია „Воздерживаюсь“-ის სახელით, რადგან, ბ. გიორგი ზაზროვთან ერთად, მასაც უტრივ გადაავწყდა ის, რაც ახსოვდა და კარგად იცოდა. ცნობილია აგრეთვე ისტორიაში, როგორც განსაკუთრებითი მოდვაწე ყოველ 14 ივნვრის ქართულ სადამოისა. მეტი მის შესახებ ისტორიამ არა იცის რა.

ქ-ნი სოლორაშვილისა. ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ კრებებზე განუწყვეტლად მოდაპარაკე, მოდაპარაკე და მოდაპარაკე. ისტორიაში წითელის ასოებით არის შეტანილი, როგორც მოდაპარაკე.

მარიამ ლოლუას ასული. ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲘᲡ იმდენი ესმის, რამდენიც ჩემს წინა მოხსენებაში აღნიშნულ ორ შვანტალ თათარს. გახლავთ учительница рукодѣлія, რა სახელითაც შესულია გამოუსვლელად ისტორიაში. აქვს ყველა საქალაქო სკოლებში 10—12 გაკვეთილი კვირაში, რის სასყიდლოთაც იღებს 600 ქანქარს. არავინ იცის, თუ როგორ მიჭვავს ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚ მადმუაზელს „რუკოდელიის“ საქმე სკოლებში, რადგან არავინაა რომ კანტროლი გაუწიოს!.. წმინდა ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ საკითხების გასარკვევად ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ კრებებზე მასაც იწვევენ და ისიც კეთილ ნებულობს წასვლას და ამა თუ იმ საკითხის თითის მაღლა აწევით ხმის მიცემას. „სად ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ“ დადგენილების დროს, როგორც ამბობს ისტორია, მასაც აუწევია თითი. საზოგადოთ კი მასზე ისტორია იმ აზრისაა, რომ თითს მაღლა მას ირაკლი აწევინებსო, რადგან ისტორიას არ ცოდნია არც ერთი ისეთი შემთხვევა ქ ნ მარიამის მოდვაწეობაში, როცა ირაკლის თითი თვისი მაღლა აეწიოს და მარიამსაც მაშინვე იგივე არ მოემოქმედოს.

მესხის, სტროევის და ქარცივაძის ასულნი. ისტორიაში ეხლანან იქმნენ შეტანილნი, ე. ი. მას შემდეგ, რაც ამ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚ ასულებმა 4 თებერვლის „სად ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ“ დადგენილებას ხმა მისცეს.

მეთხვედი ოიქრებს, რომ „სადი ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ“ დადგენილების ისტორია აქ თავდება. სრულიადაც არა! დადგენილება ჯოჯოხეთური გადატანილ იქნა ქალაქის სასკოლო კომისიაში. გამოცხადდენ მუნ სკოლების ყველა ზედამხედველნი და აგრეთვე ის ზედამხედველიც, (ბ-ნი შარაშიძე), რომელიც, სამწუხაროთ ოფველთა ეშმაკთა, „სად ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ“ მოსაზრებას არ დაეთანხმა და კომისიას წარუდგინა გაშანშალებული ქადალდი, თვისი „ოსობოე მნენიე“, რომლითაც ის ამტკიცებს წუალ-წასაღებ ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲔᲑᲘᲡ დადგენილების მავნებლობას.

თავმჯდომარეობდა კრებას ბ-ნი ყურუდი. ჯერი მოდგა „ᲔᲓᲐᲒᲝᲒᲔᲑᲘᲡ“ დადგენილების განხილვისა.

— Господа учителя, доложите! — მიმართა ოფველთვის ეშმაკმა ყურუდმა მასწავლებლებს.

წინ წამოდგა მოწიწებით ირაკლი, „წინ წამოდგა“ არა რაგორც თორნიკე ერისთავი, არამედ რაგორც ირაკლი და ისიც კიდევ, რაგორც დღინტი.

ირაკლის ბიოგრაფიის შესავსებათ მოვიყვანთ აქ მის ნათქვამს და მით დავასრულებთ ამ მახსენებას.

თვისი სიტყვა, მან ჩახკულებით დაიწყო:

— ბატონებო! უკვე დადგენილია, — და უკვე გატარებულია ეს დადგენილება ცხოვრებაში, — რომ დაარსდეს მეოთხე განყოფილება для туземныхъ школъ. ჩვენ, მასწავლებელთა კორპორაციამ, წინააღმდეგ ერთისა, დავადგინეთ! შეერთდეს ყველა „ᲢᲣᲖᲔᲢᲔᲑᲘᲡ“ სკოლათ მეოთხე განყოფილება ერთ განყოფილებათ და დაენიშნოს ერთი მასწავლებელი ასეთ განყოფილებას. მართალია, მაშინ სამშობლო ენის გაკვეთილი ბოლო გაკვეთილად მოექცევა, მარა ეს არ წაახდენს საქმეს, „ОТВОДЯТСЯ

вѣдь туземнымъ языкамъ во всѣхъ учебныхъ заведеніяхъ, гдѣ учятся туземцы, послѣдніе часы“.

აი, სწორედ ასე თქვა ირაკლიმ. ასეთი იყო მისი სასახელო „выступленіе“. გარდა იმისა, რომ „პედაგოგების“ დიდგულიდების თანახმათ ბავშვების მუნჯური მეთოდით უნდა ასწავლონ და მით გაულაყონ გონება *), მშობლიურ ენის გაკვეთილი უნდა გადაიტანონ მე-5, მე-6 გაკვეთილად!

კომენტარიები აქ რა საჭიროა.

— უხ, უხ!..—მოისმა კომისიის წევრების ხმა. ყველას გაუკვირდა ასეთი „ბრწყინვალე“ აზრი „პედაგოგებისა“. საქმე „სერიოზულ“ საქმეთ სცნეს და მისი საბოლოოთ გადაწყვეტა შემდეგისათვის გადასდვეს.

ასე იყო საქმე ესე, ბატონო ეშმაკო!

კვინწარი.

ხელისმომწერთა საყურადღებოთ.

რომ ფულის მიღება არ გაძნელდეს და ახალ ხელისმომწერთ ჟურნალი თავის დროზე მიუვიდეს, ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს:

Тифлисъ.

Типографія Е. Кереселидзе.

для

„Эшмакисъ Махе“

*) ეს თუ მართალია, მაშ აღნიშნული „პედაგოგებიც“ ამ მეთოდზე იქნებიან აღზრდილნი.

ეშმაკი.

საბედისწერო „ბუდკა“ ქუთაისში



გუშინწინ, სახლში დაბრუნებულმა,
ღამით ვიხილე ერთი სიზმარი:
საბჭოს კარებთან დასკუპულიყვნენ
სამი ხმოსანი, სამივ ვაჭარი.

—

ზეცას აეპყროთ სამივეს თვალი,
თეთრი ხიდისკენ იშვერდენ ხელსა,
და შეთანხმებით, ხრინწიან ხმებით
გალობდენ ამა საგალობელსა:

—

„მოწყალე, დავით, შენგნით გვეხვედრა,
„ბუდკა“ პატარა, დიდჭირ ნახული,
ადგილი ზომით ერთი ალაბი,
მასში გაცვლილი, მითი სახული,

—

თუმცა პირობა ვერ შევასრულეთ,
ბუდკა გადგვედგა, გვეცვლია ბინა,
მაგრამ დუქანი, მისი სარდაფით
ჯერაც კიდევ არ აშენებულა.

—

მოიღე შენი უხვი წყალობა
ჩვენც გვიმსახურე, გვაშორე ჭირსა:
დარჩეს ეს „ბუდკა“ აყუდებული,
ვიდრე თვითონ არ დაეცეს ძირსა“.

ბასრი.

საიუბილეო მოგზაურობა კოტე მესხისა

„მკითხველი გაზეთებიდან გაიგებდა, რომ ხელ მესამედ მოუსურვებიათ იუბილეების გამართვა, კოტე მესხისათვის ხაშურში, ყვირილაში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ხონში, ახალ-სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ოზურგეთში, ლანჩხუთში ოჩემჩირაში, სოხუმში, გუდაუთში, გაგრაში, სოჭაში, ცხინვალში, სურამში, ბორჯომში, ახალციხში, განჯაში, ბაქოში, ალექსანდროპოლში, ყარსში და ერევანში“. („სახალხო გაზეთი“).

კოტე მესხმა, სამოგზავროთ
გამოაწყო კოხტა დასი.
უნდა, ირგვლივ მოიაროს
საქართველო და კავკასი.
ხალხი ითხოვს იუბილეს
ნამსახური მსახიობის...

მეტი ველარ მოითმინა,
თუმც მოთმენა აქვს იობის.
კოტე წავა თფილისიდან...
ინახულებს გლდანს, ავჭალას,
მცხეთელებს და წიწამურლებს
ხელოვნების ამცნობს ძალას.

მიადგება საგურამოს,
ჭოპორტსა და ბულაჩაურს.
(აქ ღარიბი ხალხი ცხოვრობს
დასჯერდება შვიდ-შვიდ შაურს);
მუხრანიდან ქსანში ჩავა,
მიატოვებს განზე წილკანს.

(იქ ხალხს დამბლა დაეცემა,
რადგან ამ დარდს ვერ აიტანს.)
ქსანიდან კასპს ინახულებს
შემდეგ მეტეხს, ახალქალაქს.
აქ ხალხი ზის მომღერალი,
დასდგამს „სევილიელ დალაქს“.

გაუდგება ხოვლესაკენ,
ხანდაკშიაც შემოივლის,
ჩვენის აზრით, ეს მოხდება
თორმეტსა, თუ ცამეტ ივლისს.)
შემდეგ გრაკალს ინახულებს
ხიდისთავს და სოფელ ავლევს,
(აქ, მხიარულ გუნებაზე,
ერთს ლოთიანადაც ჩაჰლევს!)
გადააჭრის ცხინვალისკენ,
გადალახავს სკრას და ურბნისს,
თუ რომ კარგი დარი დარჩა,
ოსებთანაც შემოუვლის.
მიადგება დილით ხაშურს,
სავანესა, ქვიშხეთს, სურამს...
ხალხს არ ვიცი, მაგრამ მის რაზმს
ჭირის ოფლში გამოსწურამს.
გარდაივლის კორტოხიდან,
ნაქერალას გადალახავს,
რაჭის მოზრდილ ღაბა-სოფლებს
ორ-ორი დღით ყველას ნახავს.
გადმოთელავს ოკრიბიდან
ჭიათურის გზას დაჰყვება,
მინალოცი „ადრესები“
ჩალვადრებით გამოჰყვება.
საჩხერიდან სოფელ-სოფელ
შორაპანში ჩამოაწევს
და ერთი დღით შეისვენებს
ან ღვანკითში, ან და ვაჭევს.
ზესტაფონში სამ დღეს დაჰყოფს,
იქიდან სვირს ინახულებს,
ჯორ-აქლემით გამოგზავნის
მინალოცავ „გროშის“ ფულებს.
ნახავს ობჩას, აჯამეთსა,
არ დარჩება არც ბაღდადი,
მით, უმეტეს, რომ აქ ხალხი
ბინადარობს ერთობ ნაღდი.
მიადგება მუნით რიონს,
საღორიას და ქუთაისს
(ეს მოხდება ჩვენის აზრით.
ცხრაას თორმეტი წლის მაისს.)
თომა პუსა ლექსსაც უძღვნის
დრო და ჟამის შესაფეროს...
თაიგულ-გვირგვინის სახით
მიართმევენ დიდძალ ჟვეროს.
დაუყობა ხონისაკენ
მარხილით, ან თხილამურით.
ხონელები შუაგზაზე
შეხვდებიან „მარილ-პურით“.
არ დატოვებს არც ჯიხაიშს,
არც იანეთს, არც საჩინოს,
(მოქალაქემ თავისი ხმა
ყველგან უნდა მიაწვდინოს.)
საჩინოდან, მხიარული,
მიადგება მუხაურუას...
ერთ პიესას იქაც დასდგამს
და ასწავლის ყრუ ხალხს ჭკუას.
დაბრუნდება სამტრედიას,
ესტუმრება ტურფა კულაშს,
(თავადები ბილეთებში
დაუგირავებენ ულვაშს.)
საჭილაოს მირა-მორა
გადასცურავს ცხენის წყალზე
და აბაშას მიადგება
ლაფში ამოსვრილი ძალზე.
სამეგრელოს მიდამოზე
მოუხდება ნავით ცურვა,
თუ რომ იქაც ამ წარღვნის დროს,
სეირნობა მოესურვა.
ნახავს ზუგდიდს, ახალსენაკს,
ბანძას, ქვალონს, ნაოლალევს,
(თუ ქეიფი არ წაუხდა
ვახტანგურათ აქაც დალევს)
დაცურდება ფოთისაკენ
მხიარული, საკინძ ღია,
და იქ შვიდ დღეს შეისვენებს
რიონს თუ არ წაუღია.
გადმოუხვევს სამხრეთისკენ
და გურიას მიადგება:
სურებიდან ჩოლოქამდე
სოფელი არ გამორჩება.
კინტრიშიდან ქობულეთში
ჩაუყობა ზღვის ნაპირებს
და დასასრულ, საბოლოოთ,
ბათუმლებსაც გააკვირვებს.
ბათუმიდან გადმოივლის
ახალციხეს და აჭარას
არ დასტოვებს დაბა-სოფელს
არც დიდსა და არც პატარას.
სოღანლუღით მოადგება
აღტაცებულ ქალაქ თფილისს,
მაგრამ აქაც არ შესდგება,
კახეთისკენ გადაივლის.

ეშმაკი

ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ.

—:—

(მარიამ ი. დემურიას გარდაცვალების წლის თავზე, 13 იანვარს, სახალხო თეატრში წაკითხული).

I.

ფიქრები ყორანს მივანდე,—
ყორანსა შავი კლდისასა;
სულის სილაღე ერთიან
ნიავს, მონაბერს მთისასა.
ორთავემ ფრთები გაშალეს,
ზე აღმაფრინეს წყნარათა;
წამიღეს, დიდხანს მატარეს,
უხილავ მთა და ბარათა.
შემდეგ, არ ვიცი, არ მახსოვს,
რა მოხდა, ან რა გვარათა;
გამოვერკვიე... მეოცა...
ვიდექ სამარის კარათა.

II

ირგვლივ ბნელოდა... წყვდიადი,
დაჰკროდა ყოველ მხარესა;
გაშლილ ღრუბლების საბანში
მისძინებოდა მთვარესა.
გარინდულ ღამის სიჩუმეს
მხოლოდ ნიავი არღვევდა
შეკითხვა მივეც:—ნიავო,
რისთვის ქვითინებ მწარეთა?
ან ის ზარნაშო რას მოსთქვამს,
ვისზეა მგლოვიარეთა?

. . . . . .

არსით ხმა... არსით პასუხი..
სძინავს ყრუ არე-მარესა...
მარტო ვარ, მარტოთ გავყვები,
საფლავის ფიქრთა ჯარებსა.

III

წაველ და ვნახე სამარე,
უმწეოთ გაძომზირალი;
შევნიშნე, ტოტებ დახრილი,
ტირიფი იდგა მტირალი.
ფოთლების ნელი შრიალით,
იგიც რაღაცას ჩიოდა;
და ვით მოზარეს, თმა გაშლილს,
ცხარე ცრემლები სდიოდა.
მასაც მივმართე:—ტირიფო,
რას ნიშნავს შენი ქვითინი?
ვინ შეგირყია სამარე,
მარქვი, ამიხსენ ტიტინი.
ჩურჩულით მითხრა:—აი, აქ,
საფლავს ვადგევარ მცველათო.
საძილისპირო ნანინას
ვუგალობ განუყრელათო.
აქა მარხია, ბავშვების
მოსიყვარულე გულიო;
ტანჯული ხალხის მოსარჩლე,
საუნჯე დაფარულიო.
თუმც მოკვდა, მაგრამ, უკვდავ სულს
აქაც არ ესვენებაო,
ნათელ, მთვარიან ღამეში
საფლავით წამოდგებაო...
მესაიდუმლე ვარსკვლავებს
ღიმილით ეგებებაო;
ორ ობოლ შვილის სიცოცხლეს
ღმერთს შესთხოვს, ევედრებაო.
ნიავს აბარებს:—შემიტყვე,
ამბავი „ნაკადულისო“.
კვლავ მოჩუხჩუხებს, თუ შესწყდა,
ცრემლები ჩემი გულისო.

IV

ვიდრე შიკრიკი ნიავი,
არ ამცნებს დანავალსაო;
ცივ ლოდზედა ზის მარიამ,
ცრემლი არ შრება თვალსაო.
თუ რომ სიკეთე შეიტყო,
აღარა ენატრებაო;
სიცილით ჩადის საფლავში,
მისი აჩრდილიც ჰქრებაო;
და თუ ცუდი რამ ამბავი
მოესმა ქვეყნის ჭირისო;
აღარ იძინებს... ღამ-ღამე
დაძრწის და წარეთ სტირისო.“
სთქვა და შეირხა ტირიფი,
ფოთლებმა ცრემლი დაღვარეს;
ძირს ჩამოგორდენ ცვარათა,
მკერდს დაეფრქვივენ სამარეს.
ბნელ მიდამოში, ნიავიც
თურმე ამასა სისინებს;
ნაცნობი არის ეს ხმები...
ჩანგი ჰკვნესს, გულიც ქვითინებს.

გ. ქუჩიშვილი.

სამგლოვიარო

დეპეშები.

მიხაილოვი. ამ დღეებში აქ დიდი უბედურება დატრიალდა: შეზარხოშებულმა დეპოს მუშამ 60 საჟენის მანძილიდან ვერ იცნო ადგილობრივი დეპოს უფროსი და „ჩესტი“ ვერ მისცა. ამის გამო..... *)

სამტრედია. კოპიტნარის მახლობლათ ჩაძირულა „წერა-კითხვის საზოგადოების“ გემი. როგორც ამბობენ გემი წიგნებით ყოფილა დატვირთული ადგილობრივი განყოფილებისათვის. ალბათ ეს ის წიგნები იყო, რომელიც უნდა გამოეწერათ შარშან დელ სიირნობიდან მონარჩენი ფულით.

იქიდანვე იაპონელ ჯაშუშებს ხელში ჩაუგდიათ გეგმა იმ „ბუტკისა“, რომლის აშენებაც განზრახული ჰქონდა ადგილობრივ განყოფილებას წერა-კითხ. გამ. საზოგადოებისას სასწავლო წიგნების გასასყიდათ.

დიდი ჯიხაიში. ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში წყალ-დიდობამ იკლო, იმედია მოსამსახურეები გადარჩებიან.

„მახეში“ გაბმული რაინდები ენერგიულათ ეძებენ კორესპოდენტს. რაზე იხარჯება ძვირფასი ენერგია!!!

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

„ეშმაკის მახის“ № 8-ში მოთავსებულია სამტრედიიდან პატარა წერილი, რომელმაც შეაფუცხუნა ზოგიერთი ადგილობრივი „მოქალაქეები“.

ამით ისარგებლეს ჩემმა მტრებმა და ავრცელებენ ხმას, თითქო აღნიშნული წერილის ავტორი მე ვიყო. გთხოვთ გამოაცხადოთ მათდა საყურადღებოთ, რომ იმ წერილებთან მე არავითარი კავშირი არა მაქვს.

პატივისცემით **ყარამან კოპალეიშვილი.**

—

„ეშმაკის მახის“ რედაქცია აცხადებს ყველა იმ გვარ „მოქალაქეთა“ საყურადღებოთ, რომელნიც არ თაკილობენ ამა თუ იმ საეშმაკო საქმეთა ავტორობას დაშემდეგ კი ენერგულათ ეძებენ უბრალო წერილების ავტორებს, ამაოა მათი ენერგია და შრომა. მართალია სახარებაში სწერია: „ეძიებდეთ და ჰპოებთო“, მაგრამ ეს „ეშაკიმახეს ში“ მომწყვდეულთათვის არ დაწერილა.

აგრეთვე ვარწმუნებთ, როგორც მტერ-მოყვრებს, აგრეთვე თვით ყარამან კოპალეიშვილსაც, რომ მას არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის აღნიშნული წერილის შედგენაში.



ბედს.

ჩემო ბედო, რათ დამკვნესის
სისასტიკის ქარიშხალი?
სურვილს ფრთები რათ შემიჭერ?
გული რისთვის მომიკალი?..
გაზაფხულის მოსვლას უცდის,
აღარ კრთება ბედით კრული,
უნდა ისევ ტახტზე დასვას
ჩემი სატრფო დაჩაგრული!
გულის ფიცარს განეწონა,
ბედო ჩემო, მკვერთი დანა!
ლამის სული ამომართო,
სამარემდის მიმიტანა...
გაზაფხულის მოსვლას უცდის
და არ კვდება ჩემი გული;
სურს, კვლავ ტახტზე აიყვანოს
სატრფო ჩემი, დაჩაგრული!
მხოლოდ ერთხელ გამიღიმა,
შვების სხივნი მომაფრქვია;
თურმე ბედი მდარაჯობდა:
შავი ბადე მომახვია.
მას შემდეგ სულ ბნელა ირგვლივ...
გაზაფხულის მოსვლას ვუცდი.
არე ისევ გაშუქდება,
მეც ჩემ სატრფოს ხელს გაგუწვდი!
არა, ბედო, ტყუილია
არ მოკვდება ჩემი გული!
გაზაფხულთან კვლავ აღსდგება
ჩემი სატრფო, დაჩაგრული.

ნ. ზომლეთელი.

*) სადაც უბედურება იწყება, სწორეთ იქ შესწყვიტა **საგენტომ** თავისი ცნობა.

ეჰ რა იცის.

I

ნიავის ქროლით, წვაროს ჩქეფით აჩქროლებული,
ოცნების ფრთებით ღ ბილ მდელოზე დაჰქრის ეულათ,
და ოქროს ჩანგზე ამღერებულ-აჩქამებული
„ტურფა ფერიებს“ თავს ევლება ნაზათ გრძნეულათ:
თქვენ, თქვენ გიმღერთ წმინდა ჰანგებს
ტრფიალების ისარ-ნაგებს,
მსურს თქვენს ღელვილ ნაზ-გულ-მკერდზე
ვკრიფო ვნების ყვავილები.
მსურს კულულით ჩრდილულ ღაწვზე
დაგეკონოთ ამბორებით
შევსვა ნექტარ ბალსამოსი
კოკობის მსგავს თქვენს ტუჩებით,
რასაც ვეტრფოდი მე ამა ქვეყნათ,
გავანადგურე, ვაქციე ფერფლათ
დღეიდან ვმონებ მხოლოდ თქვენს აჩრდილს
ნაზ მონარნარე მშვენებით აღვსილს.
შორს ჩემგან თალხი, ვაი ვაგლახი
ბრბო უგუნური, კაცი კაცადი
მე ვარ აკორდი, ჰანგი ციური,
მე ვარ ზე კაცი—შვების თავადი.

II

ოდესღაც იგი მწყობრ ხმოვანობით მაშვრალთ უმ
მათ სალოცავში სასოებით პირჯვარს იწერდა, ღერდა
მაგრამ უეცრივ ლაჟვარდ ცასა ღრუბელი შავი
შემოეხვია, ვით საზარელ დრაკონის მკლავი,
გააპარტახა მთა იმედის, აყვავებული,
მაშვრალთა მხარე კვლავ გახადა აჩქურებული,
და მანაც რაკი გულ-გამგმირავ ამ სანახავსა
ვერრა წარტაცა გარდა გლოვა საცოდავ დედის
რა კი იგრძნო რომ მუხთალ ბედის ავგარიზს შავსა
ვერ ასცდებოდა მოზიარე მათი სვე-ბედის,—
პირი იბრუნა... დაჰგმო რწმენა და იდეალი
პირადსა შვებას სცა თაყვანი ცოდვალმა სულმა
ტრფობის წალკოტში იწყო წინწილებნის წკრიალი
აჩქორებულმა, ვნებათ ღელვის გრძნობათ ქცეულმა.

ეჰ, რა იცის უგვანომა
რომ შრომის შვილს, დღეს მოზარეს
მალე დილა განახლების
უხვათ მოჰფენს სხივს ელვარეს.
რა იცის, რომ კვლავ აუჟღერს
ჩაქოთებულ ბედის ჩანგსა
ედემივით აუყვავებს
იმედის მთას და ბაღნარსა.

დ. თურდოსპირელი.

უბრალოთ დასჯილნი

(დასასრული)

საუკეთესო ადგილი ლავრ. წერეთლის სადებიუტო მოთხრობისა, გახლავთ სახელდობრ ის ადგილი, სადაც მისი ახალგაზდა ნიჭი, თავისი ბასრი კალმის წვერით, ეხება შაქროს „გადარეულ ძროხას“. გადაჭრით არ შემიძლია ვთქვა, თუ რითი აიხსნება ნორჩი ბელეტრისტის ასეთი სიმპატია უბრალო მომაკვდავი პირუტყვისადმი, არ შემიძლია, რადგან ჩემის აზრით ეს მომავალი კრიტიკოსების ვალია, მაგრამ ჩვენი შეხედულებით აქ გავლენა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ მწერლის ნიჭმა სძლია საკითხის სიძნელეს, სავსებით დაიხატა თვალწინ ფსიხოლოგია „გადარეული ძროხისა“ და მხეცი პატრონისა.

„გადარეული ძროხიდან“ ბ-ნი ლავრ. წერეთელი პირდაპირ გადადის შაქროს ოჯახობაზე და აქაც გასაოცარ ნიჭს იჩენს ყოველგვარ წვრილმანთა გარკვევა-გათვალისწინებაში.

„ობლათ გამოზრდილმა ევამ“, მოგვითხრობს ავტორი, „არ იცოდა არც ჭრა, არც კერვა და თუ ქალმა ეს ხელობა, ე. ი. ჭრა-კერვა არ იცის, რაც უნდა პატიოსანი იყვეს, არაფერი შნო არა აქვს“.

ასეთ არა ნორმალურ მოვლენას თურმე დიდი გავლენა ჰქონდა შაქროს შვილების აღზრდა-განვითარებაზე, მაგრამ საქმეს კიდევ არაფერი უშავდა, ვიდრე „ძაღლი პატრონს სცნობდა“ [1]).

სამაგიეროთ დადგა დრო, როცა „ძაღლი პატრონს ველარ სცნობდა“ [2]). შაქროს შვილებმაც გადააჭარბეს.

„როცა შაქროს ეტყოდენ“, ამბობს ბ-ნი წერეთელი, „შენმა შვილმა ისე კარგათ იქადაგა, რომ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა და ერთი ვერსის მანძილზე ხელით ატარესო“ შაქროს გაუხარდებოდა და იტყოდა: „პაპა ენაცვალოს იმასაო“.

„საზოგადოთ“, განაგრძობს ბ-ნი წერეთელი, „ვისაც ამ შაქროსთან რაიმე საქმე ჰქონია, ყველა წყევლა-კრულვით იხსენიებდა ამის სახელს. არ ვიცი ამ წყევლამ გასჭრა [3]) თუ ათვალწუნებამ, შაქროს

[1]) ე. ი. ვიდრე მოძრაობა დაიწყებოდა

ისტ.

[2]) წიგნაკის ავტორზე ეს არა შემთხვევაში არ ითქმის, რადგან ის თავის პატრონს წინეთაც კარგათ სცნობდა დღესაც ჩინებულათ სცნობს და ემსახურება.

ᲔᲛᲛᲐᲙᲘ

[3]) ბელეტრისტი კაცია და ი.ციც საეჭვოთა. აქვს, რომ ოჯახის დაქვეითების მიზეზი უთუოდ წყევლა იქნებოდა! სირცხვილი თქვენ ბ-ნო წერეთელო, სირცხვილი! ისტ.

ოჯახი აგერ ხუთი წელიწადია, სულ უკან-უკან მიდის“.

წარმოიდგინეთ მკითხველო, ოჯახის დაქვეითება—გათახსირება იმ ზომამდე მისულა, რომ ბავშვებს, (უმთავრესად კი უფროსს, რადგან უმცროსი ავტორის ზნისა იყო.) „გუბერნატორის სახელის გაგონებაც კი ეჯავრებოდათ.“ ეს კიდევ არაფერია! ერთი მათგანი თურმე პრეზიდენტობასაც არ დაიწუნებდა, ისეთის ზნისა და მიდრეკილებს გახლდათ.

მაგრამ მოგეხსენებათ გადარეული დედა-მიწა გაუჩერებლივ ტრიალებს, თუმცა ჯერ არავინ არ იცის რისთვის და რა მოსაზრებით ტრიალებს ერთობის დრო რეაქციამ შესცვალა. ეს ყოველიფერი არის ასე მოყვანილი ბ-ნი წერეთლის პატარა წიგნაკში [4])

„უფროსი შვილი. შაქროსი მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა და კასირათაც ამოირჩიეს ამხანაგებმა, ეს ხომ შემოსავლიანი ალაგია. იმდენი სიკეთე მეც და შენც, რამდენი მაშინდელი პრიკაშჩიკი ბრმა ხალხისაგან ასისთავათ ამორჩეული ახლა ხაზეინობდეს და კუდ აბზეკილი დადიოდეს“ [5]).

ქვემოთ ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ ჩაერია მოძრაობაში შაქროს უფროსი შვილი, როგორ დაემართა ფილტვების ანთება, ჩამოიყვანეს შინ და მოკვდა. „ამოდენა დარდს ველარ გაუძლო შაქრომ და ცოტა ჭკუაზე შეიშალაო“. [6]).

„ერთს ყველიერს“, მოგვითხრობს ბ-ნი წერეთელი, საღამოს 9 სათზე, უცებ სევდა შემომაწვა ლოდივით გულზე. ძალიან მოვიწყინე. ვიღაცამ ჩამომძახა „ადექ ჩქარა მიეშველეო“. წამოვხტი, გავექანე ბაზრისაკენ, ვიყიდე პური და ხორაგეულობა და ისე გავსწიე შაქროსკენ, რომ დღე რო ყოფილიყო და დავენახე ვისმე, გადარეული ვეგონებოდი [7])

იქ თურმე მთელი ოჯახი შიმშილით იხოცებოდა. ყველანი ისე იყვნენ დაქანცულნი, რომ „ჭადს კი არა, უფრო რბილ საჭმელსაც ვერ დაღეჭავდენ.“ ლევანის მისვლამ ყველა გაამხიარულა და გადაარჩინა სიკვდილსა.

[4]) და წარმოიდგინეთ მოყვანილია ისეთის გარმონიითა და წეს რიგით, როგორსაც სავსებით გამოხატავს მრავალ მნიშვნელოვანი სიტყვა დომხალი.

ეშმაკი.

[5]) სამწუხაროთ ავტორი არ აღნიშნავს ამ ყოფილ ასისთავათა სახელსა და გვარებს! არც მათ ახლანდელ ადრესებს, რითაც ძლიერ გააადვილებდა ქალაქში წესიერების დამყარებას.

[6]) თავის თავზე კი ავტორი მეტის მორცხვობით არაფერს ამბობს. დარდი ვის არ დააჩნევს წაუშლელ კვალს!

[7]) თითქო წაკითხვა კმაროდეს

როგორც ხედავთ, იქ იმ „ყველიერის კვირაში საღამოს 9 საათზე“ სწორედ სასწაული მოხდა და და მეორე სასწაული იქნებოდა, ამის შემდეგ ავტორს ხელ ახლად არ წამოეწყო საკითხი სარწმუნოების სშესახებ.

„ჩემის აზრით[8]) ბავშვს პატარაობიდაივე უნდა ჩაუნერგოთ გულში ის რწმენა ღვთისამდი, რომელიც საჭიროა ამ უფსკრულში მოცურავე ბურთის მსგავს დედა-მიწაზე. თუ კაცი მთრწმონეა, ის არასოდეს არ იტყვის ტყუილს.“ [8])

„ვისაც ღმერთი არა სწამს, არც კაცი სწამოდა ცხოვრებაში მეტ ვიმწარეს განიცდის, ვიდრე სიამოვნებას, ასეთი ტანჯვა ვაება მოელით და ვერც იხილავენ სიამოვნებას ცხოვრებაში ის ურწმუნო აგიტატორები, რომელებმაც თავიანთი ქადაგებით მოსწამლეს ახალგაზდობა და როცა ადიხანოვი ჩამოვიდა, ზოგი მეთგანი სვანეთის კლდეებში მიიმალენ“

„მაშ ზიზღი იმ უსინდისო აგიტატორებს, რომლებსაც სიკვდილის შეეშინდათ, და თავიანთი თავი გადირჩინეს და მათგან მორწამლული ახალგაზდობა კი დასჯეს. ამათ სიკვდილში პირველი დამნაშავენი არიან ის ურწმუნონი[10]) და არა სხვა ვინმე.

ვასილ პეტროვიჩმა, როგორც თქვენ პატივცემულნო მკითხველნო, მოისმინა ეს მოსაწყენი ამბავი ძლიერ შეეცოდვა საწყალი ოჯახი და უოხრა ლევანს: „მომაგონე როდისმე, როცა ქალაქის საბჭოზი სხდომა იქნება. იქ აღვძრამ საკითხს და შაქროს ოჯახს დავეხმარეაითო.“ [11]) ასე გათავდა ეს ამბავი.

ისტორიკოსი.



[8]) აზრი იმასაც კი ჰქვიან რაც უსაქმო კაცს თავში მოუვა და რასაკვირველია თითონ აზრი არაფერ შუაშია ზოგს ჭკვიანური და ზოგსაც აუელელური რომ მოუვიდეს;

[9]) ოჰ ნეტავ ლავრ. წერეთელიც მორწმუნე ყოფილიყო.

ეშმაკი.

[10]) ამ ურწმუნოთა სახელსა და გვარს არც აქ აცხადებს ბ-ნი წერეთელი, თუმცა ამ გზით მისი «თხუზულება« უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.

[11]) 'მაქროს ოჯახს იქნება მართლაც კი დაეხმარონ, მაგრამ რა ეშველება თვით ავტორს, ამაზე ჩვენს მეტი ვგონებ არავინ არა ზუნავს.

ეშმაკი

მეოცე საუკუნისკენ

ვ. მალაქიაშვილი.

პიესა ოთხ მოქმედებათ
და ხუთ სურათად.

გამოსვლა VI

(გერასიმე და ვლადიმერი)

გერას. ბიჭო, რა ღმერთი გაგიწყრა? ა?

ვლად. აბა, დასწყევლოს ღმერთმა, როგორ მომივიდა!

გერას. მარა შენც ეშმაკი ხარ შვილოსან, განგებ იზამდი... ვიცი... ააა!..

ვლად. არა ღმერთი, რჯული.

გერას. მერე რო შეგრცხვა რა იყო? გაწითლდი ყაყაჩოსავით... ერთი მე მომსვლოდა!..

ვლად. შემრცხვა, კაცო, ვა! შენ მაინც ნამეტანი ქენი... მარა ნუნუს ეამა იცი? ვითომ იწყინა პირველათ, ნამდვილათ კი...

გერას. რა შვილია არ ეამება!..

ვლად. რა მადიანათ იცინოდა!..

გერას. ჩვენზე უარეს დღეშია მაგია, ჩვენ ყველგან გვაქვს გზა და ის ხომ იცი ქალია... სახელის გატეხა და...

ვლად. არა, შენ დარდი ნუ გაქვს შენ უფრო თამამი ხარ და ჩაიზე კიდო მოიგონე ეს ამბავი და ვიცინოთ..

გერას. კარგი... კარგი...

გამოსვლა VII.

(გერასიმე, ვლადიმერი და ნუნუ).

გერას. რისთვის გაიქეცით? მარტო დაგვტოვეთ სტუმრები.

ნუნუ. უკაცრავად...

ვლ დ. დიმიტრი მალე მოვა, თუ იცით?

ნუნუ. არ ვიცი (ბაუზა).

გერას. ამ საღამოზე ერთად მივდივართ სასეირნოთ.

ნუნუ. მე ვერ წამოვალ.

ვლად. რათა?

ნუნუ. პედაგოგიურ საბჭოს კრება გვაქვს.

გერას. თქვენც მოგცლიათ ერთი! განა არ შეიძლება რომ დააკლდეთ?

ნუნუ სულ ხომ ვერ დავაკლდები, სამჯერ არ ვყოფილვარ.

გერას. ოო, თუ ასე, მაშინ. . ერთი მითხარით, მასწავლებლობა მოგწონთ?

ნუნუ. რამდენი რამ არ მოგვწონს, მარა ძალით უნდა მოიწონოთ,

გერას. მაშ არ მოგწონთ?

ნუნუ. ოც რიცხვში კი და ოცდაათში.. (საერთო სიცილია).

ვლად. შენც ხომ მასწავლებელი იქნები, გერასიმ...

გერას. ჩემი მასწავლებლობა თვეში ორას-სამასი ეღირება... (ნუნუს გადახედავს).

გამოსვლა VIII.

(იგინივე და ბუბელა)

პეპ. (შემოაქვს ჩაი) აბა, მობრძანდით, ბატონებო!.. ნუნუ, ბეჩა, იდიასახლისე, ასე როგორ შეიძლება?!.

ნუნუ. უკაცრავათ, უკაცრავათ... (სკამებს სწევს სტოლისკენ, იდიმება) იმედია მაპატიებთ...

გერას. თქვენ თუ არა მაშ ვის უნდა ვაპატიოთ?..

(სტოლს მიუჯდებიან. ვლადიმერი წიგნს მეორე სტოლზე სდებს).

გერას. ოო! თქვენ მეტის ღირსი ხართ, მეტის...

ნუნუ. (გერასიმეს) გვაკმარეთ, ბატონო, გვაკმარეთ.

(უჯედანი ჩაის სვამენ).

გამოსვლა IX.

(იგინივე და სოსო).

სოსო გამარჯობათ, გამარჯობათ!.. (რა დაინახავს ნუნუს უტებ შეკრთება და გაწითლდება. ნუნუ ამას ამჩნევს და ჭმაუოფილი იდიმება. სოსო უკეთეს ხელს ართმევს. მასაც ესალმებიან):

ვლად. გაუმარჯოს, ჩვენს პოეტს, გაუმარჯოს!

გერას. სალამი პარნასელს, სალამი!

პეპ. დაბრძანდით, სოსო!

სოსო. (დარცხვენილია) არა უშავს... გეახლებით...

ნუნუ. მობრძანდით. (სკამს მიაწვდის. სოსო ჯდება ნუნუს გვერდით, მარა სირცხილიო იწვის) მოიწიეთ სტოლისკენ... მარა, ახ... ჩაი... (მიდის ჩაისთვის).

გერას. (ამაუი დიმილით) სხვა, სოსო, როგორაა ქართული მუზის საქმე?

სოსო, (თავისუფლად და რწმენით) კარგად ძალიან.

გერას. კარგია, კარგი!.. ქართული მუზა... ქართული მუზა!.. ოო, მართლა თქვენ მარტო ლექსებსა სწერთ?

სოსო. მოთხრობებსაც.

გერას მოთხრობებსაც, მოთხრობებსაც... (ამბარტავნულათ გადახედავს) რომელ გაზეთებში ათავსებთ?

ე 1582
1911

სოსო (თითქოს არ უნდოდა უპასუხოს) განა არ კითხულობთ გაზეთებს? იქ შეხვდებით რომელშიაცაა.

გერას. ამ ბოლო ხანებში ქართულ გაზეთს რაღაც არ ვეტანები...

ვლად. რუსულ გაზეთს დაეძალა ჩვენი გერასიმე, რუსულს.

სოსო. მდაა... ჩვენი რა ბრალია?..

პეპ. ჩვენი სოსო უპირველესთაგანია ახალგაზრდა პოეტებში.. საუცხოვო ლექსებსა სწერს.

ნუნუ. ოო, მშვენიერებს... მე პირდაპირ გაგიჟებულნ ვარ!.. იცით?.. (სოსო ირცხვის, თავს აშორებს).

ნუნუ (სოსოს) მიირთვით ჩაი, როგორ მორცხვობთ?

სოსო ნუ სწუხდებით...

ვლად. მეც მომწონს მისი ლექსების უმეტესობა. ზოგიერთები მართლაც კარგებია.

გერას. (შედიდურათ) რა ტემებზე სწერთ?

სოსო. რაზედაც მოგვიხდება.

გერას. ალბათ ახალ საკითხებს ეხებით: სქესობრივს, ინდივიდუალურს, ესტეტიურს, რელიგიურს...

სოსო. (გვერდზე) გაუგონია ყმაწვილს და გვაკვირვებს. (ხმა მაღლა) ეგ საკითხები სრულიათ ახალი არაა.

გერას. როგორ? რათა? პირიქით რუსეთის პრესა...

სოსო. ვიცით! მაგ სულ სხვა ოპერიდანაა...

გერას. სრულებითაც არა!.. თქვენც არ მოგიკვდეთ!.. პოეტი და მწერალი ყოველთვის ცხოვრებას უნდა მისდევდეს. ეს აქსიომაა. მაშ თქვენ ამ საკითხებს უარყოფთ?

სოსო. ვინ მოგახსენათ? ჩვენ იმდენათ ვაქცევთ ამ საკითხებს ყურადღებას, რამდენათაც საღი დემოკრატიზმის... ფარგლებში...

ვლად. არა ძმაო, არა, ჩვენს პოეზიაში ახალი არაფერი არაა, სულ ძველი მოტივებია.

გერას. მართალია. . განუვითარებელი პრესა და მწერლობა გვაქვს. ჩვენი მწერლები გაურბიან ახალ კითხვებს.

პეპ. პირიქით, სოსოს პოეზიაში ბევრი ახალი მოტივებია.

ნუნუ. მე გაგიჟებული ვარ, ძალიან მომწონს .. ნაზია, ნარნარი...

გამოსვლა X.

(იგინიგე, დიმიტრი და ვახტანგი)

გერას. ოო, ვინც მოვიდა გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. (დგება და უგებებს).

ვლად. გაუმარჯოს!.. (ვახტანგს) გამოეპარე ცოლს? ხა... ხა... ხა...

ვახტ. გახლავართ ოცდაათი ცხენოსანით, გახლავართ!.. გაუმარჯოს პეპელას, ნუნუს!.. (ესალმება უველას).

დიმიტ. აბა, მეუღლე ჩემო, მიუხალისე სტუმრებს, პატივი ეცი!..

პეპ. (თავისთვის) პატივი ეცი! რით ვცე? (ხმა მაღლა) იმედია ჩაიზე დაგვეპატიჟებით.

ვახტ. გმადლობთ .. ჩვენ ჩაი გეახელით... გმადლობთ.

პეპ. ერთი სტაქანი...

ვახტ. გმადლობთ, გმადლობთ...

ნუნუ. (სოხჩაზე ადაგებს) ცარიელ სტაქნებს) მეორე სტაქანს... მიირთმევთ?..

გერას. გმადლობთ, მეტს არ გეახლებით.

ვლ დ. ჩვენც (დგება).

პეპ. რას, გავს ეს?

სოსო. გმადლობთ (დგება).

ნუნუ. (სიუკვარულით) რა ამბავი, სოსო, თქვენც იმათ მიბაძეთ? მიგერთმიათ მეორეც.

სოსო. გმადლობთ, არ მინდა, თორემ...

პეპ. ეს დაწუნებაა.

ვახტ. როგორ შეიძლება?!

გერას. როგორ გეკადრებათ!?

დიმიტ. ალბათ არ მოსწონთ მარტო ჩაი, ჩემო მეუღლეე, ჩვენს პატივცემულ სტუმრებს... მარა...

**ვახტ*. აბა რა სათქმელია!.. (ჭეჭელა ადაგებს სტოლს).

**დიმიტ*. მეუღლე ჩემო, მე კი მომართვი ერთი სტაქანი. (მოუტანს ცოლი).

**ვლად*. სხვა, როგორ სცხოვრობთ, ვახტანგ, გუშინს აქეთ?

**ვახტ*. შენგან მოძულებული ვლაფავ სულსა ჩემსა... (იცინის).

**გერას*. როგორაა ჩვენი რედაქციის საქმე, დიმიტრი?

**დიმიტ*. (ჩაის სვამს) ცუდათ.

**გერას*. რა მხრივ? იდეიურათ თუ...?

**დიმიტ*. მატერიალურათ.

(ნუნუ სარგებლობს დაჭარაკით და ჩუმათ ვლადიმერის წიგნს შლის—ბორნოგრაფიულ სურათს ათვალიერებს. ჭეჭელასაც ანიშნებს, მარა ახლო ჩვენებას ვერ ახერხებს)

**ვახტ*. ამხანაგო პეპელა! თქვენ რაღაც გამხდარი გვეჩვენებით...

**პეპ*. თვალები გატყუებთ მგონი, ამხანაგო!

**ვახტ*. შეიძლება, ღმერთმაც ქნას.

**გერას*. ვლადიმერ ჩემო, ეხლა კი კმარა ჩვენი ვიზიტი.

**ვლად*. მართალი ხარ წავიდეთ. (წიგნს იდებს).

**ნუნუ*. რათა? რისთვის ჩქარობთ?

გერას მიუხედავათ იმისა, რომ აქ ყოფნა ჩვენთვის ასე თუ ისე...

**ნუნუ*. (დიმიდით) ოო! მეევრმეტყველობა არაა საჭირო!..

**გერას*. ბატონი ბრძანდებით, ბატონი... თუ ასეა?.. ნახვამდის.

**ნუნუ*. ნახვამდის.

(უველას ემშვიდობებიან. გადიან).

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ გამომცემელი
გაიოზ ჯაჭვაძე

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ეს. კერესელიძისა გოლოვინის პროსპ. № 43.